

# CHINA NUCLEAR INDUSTRY 23 CONSTRUCTION CO., LTD

## საქართველოში



NATIONAL  
ENDOWMENT  
FOR  
DEMOCRACY



## China Watch

ანგარიში 11



საომილიაქო იტყუ

2022

# სარჩევნო

<i>China Nuclear Industry 23 Construction Co. LTD.</i> .....	<b>2</b>
<i>China National Nuclear Corporation</i> .....	<b>5</b>
<i>China General Nuclear Power Engineering Co., Ltd.</i> .....	<b>7</b>
<i>China Nuclear Industry 23 Construction Co., Ltd</i> <i>საქართველოში</i> .....	<b>10</b>



## China Nuclear Industry 23 Construction Co. LTD.

China Nuclear Industry 23 Construction Co., Ltd., ალტერნატიულად ცნობილი როგორც "CNNC No.23" ან CNI23, არის ჩინეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბირთვული კომპანია, რომელიც 1958 წელს პეკინში დაარსდა. დაარსების დღიდან CNI23 პასუხისმგებელია სამხედრო ბირთვული ინსტალაციისა და კვლევითი პროექტების განხორციელებაზე **შემდეგ სფეროებში:** "პეტროქიმია, აერონავტიკა, გარემოს დაცვა, სამშენებლო მასალები, ავტომობილები, თბოელექტროენერგია, მსუბუქი ინდუსტრიის ტექსტილი, ელექტრონიკა, ახალი ენერჯია" და ა.შ. კომპანია **თანამშრომლობს სხვადასხვა საწარმოებთან** საფრანგეთში, გერმანიაში, იაპონიაში, კანადაში, ნორვეგიაში, რუსეთში, იტალიაში, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და სხვა რამდენიმე ქვეყანაში. CNI23-სა და მის წარმომადგენლობასთან დაკავშირებული გადაცდომის შესახებ ინტერნეტ წყაროების მეშვეობით ბევრი ინფორმაცია არ იძებნება. მიუხედავად ამისა, გარკვეული პრობლემები და სკანდალები მის დამფუძნებელ ჩინურ ინვესტორ ფირმებთან მიმართებით მაინც იკვეთება.

<http://www.cni23.com/3075.html>

<https://www.cccme.cn/shop/ccme12492/introduction.aspx>

# CNI23-ის სახელთან დაკავშირებული სკანდალების თაიმლაინი

## 2010

CNI23-ის დამფუძნებელი China National Nuclear Corporation (CNNC)-ის გენერალურ მენეჯერ, კანგ რიქსინს, სამუდამო პატიმრობა მიესაჯა 6,6 მილიონი ჩინური იუანის ოდენობის ქრთამის აღებისთვის, რაც თითქმის 1 მილიონ აშშ დოლარს უტოლდება.

<https://edition.cnn.com/2010/WORLD/asiapcf/11/19/china.nuclear.chief/index.html>

## 2012

China Nuclear Industry 23 Construction Co., Ltd-სა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება რუისი-აგარა-აგარას შემოვლითი გზის მონაკვეთის (კმ 95- კმ 114) სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით.

## 2014

(აგვისტო)

უცხოური საწარმოს ფილიალის „შპს ჩაინა ნუკლეარ ინდასტრი 23 კონსტრუქშენ კო“-ს ფილიალი საქართველოში“ მიენიჭა აგარის ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემის მოპოვების უფლებამოსილება.

(სექტემბერი)

უცხოური საწარმოს ფილიალმა „შპს ჩაინა ნუკლეარ ინდასტრი 23 კონსტრუქშენ კო“-ს ფილიალი საქართველოში“ განახორციელა მიწის ნაყოფიერი ფენის უკანონო მოხსნა და წიაღის უკანონო მოპოვება, რამაც სახელმწიფოს 1 422 961,0 ლარის ოდენობით ზიანი მიაყენა.

## 2015

(დეკემბერი)

რუისი-აგარა-აგარას შემოვლითი გზის მონაკვეთის (კმ 95- კმ 114) სამშენებლო სამუშაოები 17 თვის დაგვიანებით დასრულდა.

## 2017

China Nuclear Industry 23 Construction Co., Ltd-სა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება რუისი-აგარა-აგარას შემოვლითი გზის მონაკვეთის (km95-km114) გარე განათების სამუშაოებთან დაკავშირებით.

## 2018

(დეკემბერი)

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასა და China Nuclear Industry 23 Construction Co., LTD- ის შორის გაფორმდა ხელშეკრულება გუდაურის წყლისა და წყალარინების სისტემებისა და გუდაურის წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებით.

## 2019

CNI23-ის მეორე ძირითადი თანაინვესტორი, China General Nuclear Power Engineering Co., Ltd. (CGN) ამერიკის შეერთებული შტატების კომერციის დეპარტამენტის შავ სიაში მოჰყვა სამხედრო მიზნებისთვის ამერიკული ტექნოლოგიების მოპარვის ბრალდებების გამო.

<https://www.ft.com/content/9601ebda-bf24-11e9-b350-db00d509634e>

## 2021

სკანდალები წარმოიშვა ტაიშანის ატომური ელექტროსადგურის გარშემო, რომელიც წარმოადგენს ერთობლივ ფრანგულ-ჩინურ პროექტს გუანდონგის პროვინციაში. ფრანგულმა კომპანიებმა დაადანაშაულეს ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ატომური სადგურის ირგვლივ რადიაციული გამონადენის დასაშვები ზღვრების გაზრდაში, რათა თავიდან აეცილებინათ მისი დალუქვა.

<https://www.nytimes.com/2021/06/14/business/china-nuclear-power-problem.html>

ბრიტანელი ოფიციალური პირები ცდილობენ ჩამოართვან CGN-ს უფლება ფლობდეს Sizewell C და Hinkley Point C-ს ატომურ ელექტროსადგურებს, რადგან ეს უკანასკნელი ცდილობს გამოიყენოს ისინი ჩინური დიზაინის შესაბამისად, Bradwell-ის ახალი რეაქტორის ასაშენებლად.

<https://www.theguardian.com/environment/2021/jul/26/chinas-nuclear-power-firm-could-be-blocked-from-uk-projects>

## China National Nuclear Corporation

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, CNI23 დაკავშირებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უდიდეს და ყველაზე ცნობილ ბირთვულ ენერჯეტიკულ კომპანიასთან China National Nuclear Corporation (CNNC), რომელიც თანასპონსორობს მის პროექტებსა და საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ ამ კომპანიის მფლობელები და აღმასრულებლები არაერთ კორუფციულ გარიგებასა, თუ თაღლითობაში არიან მხილებულნი და სამუდამო პატიმრობაც ემუქრებათ. ცნობილი მედია საშუალებების ცნობით, 2010 წლის ნოემბერში, კანგ რიქსინს, CNNC-ის გენერალურ მენეჯერსა და სკანდალური ცინხუას უნივერსიტეტის<sup>1</sup> კურსდამთავრებულს, სამუდამო პატიმრობა მიესაჯა 6,6 მილიონი ჩინური იუანის ოდენობის ქრთამის აღებისთვის, რაც თითქმის 1 მილიონ აშშ დოლარს უტოლდება. მოცემული თანხის სანაცვლოდ ის კონტრაქტებს გადასცემდა ფრანგულ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კომპანიებს, რომლებსაც სურდათ აეშენებინათ ატომური ელექტროსადგურები ჩინეთის მატერიკზე. „კანგი გაასამართლეს თავისი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის, სხვებისთვის მოგების მიცემისა და დიდი ოდენობით ქრთამის აღებისთვის“, - ციტირებს Xinhua-ს სასამართლოს ერთ-ერთი აღმასრულებელი. 2007 წლიდან, აღნიშნულ ჩინეთის ხელისუფლების მიერ კონტროლირებად კომპანიაში დაწინაურების დროს,

<https://edition.cnn.com/2010/WORLD/asiapcf/11/19/china.nuclear.chief/index.html>

<https://www.asianews.it/news-en/Communist-Party-absolves-itself,-appoints-Xi-Jinping-19763.html>

<https://www.bbc.com/news/world-asia-pacific-11794199>

<sup>1</sup>ავსტრალიურმა ორგანიზაციამ ASPI-მ ცინხუას უნივერსიტეტი მაღალი უსაფრთხოების რისკების შემცველ აკადემიურ დაწესებულებად გამოაცხადა მისი იმ კვლევებსა და ინიციატივებში ჩართულობის გამო, რომლებიც ჩინეთის კომუნისტური პარტიის ინტერესებს ემსახურება და მოიცავს შემდეგ სფეროებს: ხელოვნური ინტელექტი, სარაკეტო შეიარაღება, სანავიგაციო ტექნოლოგია, ინსტრუმენტული მეცნიერება და ბირთვული იარაღის პროგრამები. უფრო მეტიც, მოცემული ჩინური უნივერსიტეტი არის სკანდალური ჩინური კომპანია Nuctech-ის დამფუძნებელი. ეს კომპანია ცნობილია კორუფციული და თაღლითური საქმიანობით მთელ მსოფლიოში და შეტანილია სხვადასხვა დასავლური დემოკრატიული ინსტიტუციების შავ სიაში.

ცინხუას უნივერსიტეტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, იხილოთ სამოქალაქო იდეას განახლებული ანგარიში:

<https://civicidea.ge/en/chinese-leverage-in-georgias-academic-cso-and-media-sectors-post-covid-reality/>.

ასევე, ASPI-ს ვებსაიტი სახელწოდებით “Unitracker”:


<https://unitracker.aspi.org.au/universities/tsinghua-university/>

კანგი მსახურობდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. მოგვიანებით, ქრთამის აღების ბრალდებასთან ერთად, მას ჩინეთის ატომური ენერჯო ინდუსტრიის საიდუმლოების გაყიდვისა და უცხო სახელმწიფოების ჯაშუშობისთვის წაუყენეს ბრალი. საერთაშორისო საზოგადოებისგან გაზრდილი ყურადღების თავიდან აცილების მიზნით, ოფიციალური ჩინეთი ამ საქმესთან მიმართებით დუმდა და უვადო პატიმრობა უბრალო ქრთამით შენიღბა. ფაქტია, რომ ზემოხსენებულმა გარემოებამ ძლიერ შეარყია CNNC-ის რეპუტაცია, რომლის ამჟამინდელი ხელმძღვანელი და ბ-ნი კანგის შემცვლელი დღემდე იბრძვის, ევროპული პარტნიორი კომპანიებისთვის ნიღბებისა და სხვა სამედიცინო ინვენტარის დონაციის მეშვეობით, კომპანიის სახელის გასაწმენდად კოვიდ პანდემიის პერიოდში.

[https://en.cnn.com.cn/2020-04/13/c\\_515739.htm](https://en.cnn.com.cn/2020-04/13/c_515739.htm)

წყარო:

<https://eurasianimes.com/china-after-its-nuclear-power-company-gets-blacklisted-uk-usa/>



# China General Nuclear Power Engineering Co., Ltd.

CNI23-ის მეორე მთავარი თანაინვესტორია China General Nuclear Power Engineering Co., Ltd., რომელიც წარმოადგენს უფრო დიდი კორპორაციის ნაწილს სახელწოდებით "China General Nuclear Power Group" (CGN). ეს უკანასკნელი შელახული რეპუტაციით სარგებლობს დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, აშშ-სა და მალაიზიაში.

[http://en.cgnpc.com.cn/encgn/c100029/list\\_tt.shtml](http://en.cgnpc.com.cn/encgn/c100029/list_tt.shtml)

პირველი, ვინც ამ კონგლომერატის წინააღმდეგ განგაში ატეხა იყო ამერიკის შეერთებული შტატების კომერციის დეპარტამენტი, რომელმაც CGN და მისი შვილობილი კომპანიები 2019 წელს სამხედრო მიზნებისთვის ამერიკული ტექნოლოგიების მოპარვის ბრალდებების გამო „შავ სიაში“ შეიყვანა. ამ განლაგების მიხედვით, ამერიკულ ფირმებს ეკრძალებათ ჩინური კორპორაციისთვის სპეციალური ლიცენზიის გარეშე სხვადასხვა რესურსების მიწოდება. უფრო კონკრეტულად, „დოკუმენტი კრძალავს აშშ-ს კომერციული და ორმაგი დანიშნულების საქონლის, პროგრამული უზრუნველყოფის ან ტექნოლოგიის ექსპორტს, რეექსპორტს ან გადაცემას იმ კომპანიებისთვის, რომლებიც არ ექვემდებარება ბირთვული ინდუსტრიის სპეციფიკურ კონტროლს“. CNI23 ჯერ არ არის დაბლოკილ შვილობილი კომპანიებს შორის; თუმცა, ვინაიდან მის თანაინვესტორს ეკრძალება ოპერირება აშშ-ში, ამ შეზღუდვებმა შესაძლოა ირიბად ზეწოლა მოახდინოს CGN კორპორაციის ყველა წევრზე, მათ შორის ზემოთ ხსენებულ კომპანიაზეც. მთლიანობაში, მოსალოდნელია, რომ კონვენციური ატომური ენერჯის რეაქტორებთან დაკავშირებით, ამერიკულ კომპანიებსა და CGN-ს შორის არსებული თანამშრომლობა ოფიციალურად შეწყდეს.

<https://www.ft.com/content/9601ebda-bf24-11e9-b350-db00d509634e>

<https://www.pillsburylaw.com/en/news-and-insights/china-industry-entity-list.html>

<https://www.cnbc.com/2019/08/16/us-prohibits-firms-from-selling-to-china-nuclear-power-company-cgn.html>

სკანდალები წარმოიშვა ტაიშანის ატომური ელექტროსადგურის გარშემო, რომელიც წარმოადგენს ერთობლივ ფრანგულ-ჩინურ პროექტს გუანდონგის პროვინციაში. ჩინეთის CGN ჯგუფი ზემოაღნიშნული ქარხნის მთლიანი წილის 70%-ის მფლობელია. EDF, დარჩენილი აქციების ფრანგი მფლობელი ფირმა, და Framatome, ორი რეაქტორის ფრანგი მშენებელი კომპანია, ჩიონდენ ქარხნის „ქმედითუნარიანობის საკითხებთან“ დაკავშირებით, რაც კონკრეტულად ეხებოდა „აირების გაჟონვას ერთი ან მეტი საწვავის ზოლურადან წყალში და ორთქლს, რომელიც გარს არტყამს ზოლურებს რეაქტორის ცენტრალურ ნაწილში“. მათ ამ გარემოებას უწოდეს "გარდაუვალი რადიოლოგიური საფრთხე", რომელიც გრძელვადიან ზიანს მიაყენებს

<https://www.nytimes.com/2021/06/14/business/china-nuclear-power-problem.html>

გარემოს. უფრო მეტიც, ფრანგულმა კომპანიებმა დაადასტურეს ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ატომური სადგურის ირგვლივ რადიაციული გამონადენის დასაშვები ზღვრების გაზრდაში, რათა თავიდან აეცილებინათ მისი დალუქვა. ეს გადაწყვეტილება შესაძლოა უარყოფითად აისახოს რეაქტორების მიმდებარე ტერიტორიაზე ფლორისა და ფაუნის უსაფრთხოებაზე.

წყარო:

<https://www.nsenenergybusiness.com/news/edf-connects-1660mw-epr-reactor-unit-1-of-taishan-power-plant-to-chinas-grid/>



CGN-ს ეკრძალება ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა დიდ ბრიტანეთშიც. 2021 წლიდან ბრიტანელი ოფიციალური პირები ცდილობენ ჩამოართვან კომპანიას უფლება ფლობდეს და განავითაროს Sizewell C და Hinkley Point C-ს ატომური ელექტროსადგურები, რადგან ეს უკანასკნელი ცდილობს გამოიყენოს ისინი ჩინური დიზაინის შესაბამისად, Bradwell-ის ახალი რეაქტორის ასაშენებლად. დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ დაიწყო მუშაობა 20 მილიარდი ფუნტის (27 მილიარდი

<https://www.theguardian.com/environment/2021/jul/26/chinas-nuclear-power-firm-could-be-blocked-from-uk-projects>



აშშ დოლარი) ღირებულების ატომური ელექტროსადგურის პროექტიდან CGN-ის განდევნის გეგმაზე. ეს უკანასკნელი აფინანსებს პროექტის მთლიანი ხარჯების მესამედს და მისი მშენებლობა **ცხრა წლით ჩამორჩება** თავდაპირველ ვადას. ბრიტანეთის მთავრობა შიშობს, რომ CGN-ის საქმიანობა საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას. მათი შეშფოთება მნიშვნელოვნად გაიზარდა მას შემდეგ, რაც დიდ ბრიტანეთში 2027 წლამდე აიკრძალა **HUAWEI-ს 5G აღჭურვილობა** მაღალი უსაფრთხოების რისკების გამო. გადაწყვეტილება ძალაში 2021 წლის სექტემბერში შევიდა და მას შემდეგ ჩინური კომპანიების წარმომადგენლები დიდ ბრიტანეთს უჩივიან მათ მიმართ დისკრიმინაციული სახის ბიზნეს გარემოს არსებობის გამო.

<https://eurasianimes.com/china-after-its-nuclear-power-company-gets-blacklisted-uk-usa/>

<https://www.theguardian.com/technology/20/nov/30/huawei-uk-bans-new-5g-network-equipment-from-september>



წყარო:  
<https://www.telegraph.co.uk/news/2021/10/17/exclusive-government-fund-new-nuclear-power-station-part-net/>

# China Nuclear Industry 23 Construction Co., Ltd საქართველოში

მსგავსად China State Construction Engineering Corporation Limited-ისა, საქართველოში China Nuclear Industry 23 Construction Co., Ltd-ც სამშენებლო ინდუსტრიაში ოპერირებს. ქვევით შემოგთავაზებთ იმ ინფრასტრუქტურული პროექტების მიმოხილვას, რომლებსაც მოცემული კომპანია ახორციელებს საქართველოში:

## 1. რუსი-აგარა-აგარას შემოვლითი გზის მონაკვეთის (კმ 95-კმ 114) სამშენებლო სამუშაოები

კომპანია ქართულ ბაზარზე პირველად 2012 წელს გამოჩნდა და ამავე წლის 9 ივლისს 70,756,744.92 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გააფორმა საავტომობილო გზების დეპარტამენტთან E-60 ავტომაგისტრალის რუსი-აგარა-აგარას შემოვლითი გზის მონაკვეთის (კმ 95- კმ 114) სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით. პროექტის დასრულების ვადად 24 თვე განისაზღვრა. 2013 წლის ივლისში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ჩინური კომპანია China Nuclear Industry 23 Construction Co., Ltd წარმატებით ახორციელებს ზემოხსენებული გზის მონაკვეთის მშენებლობას და იგი დათქმულ დროს 2014 წელს დასრულდება. გზების დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის შესაბამისად, პროექტი 2014 წლის ივლისში უნდა დასრულდეს, თუმცა როგორც მათ ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციით ირკვევა, აღნიშნული გზის მშენებლობა მხოლოდ 2015 წლის დეკემბერში დასრულდა. გავრცელებული ინფორმაციით, ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები, სხვადასხვა დროს, ორჯერ შეჩერდა არქეოლოგიური ობიექტების აღმოჩენის გამო. დასრულებული გზის მონაკვეთი საზეიმოდ გახსნეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელმა ნუგზარ გასვიანმა China Nuclear Industry 23 Construction Co., Ltd-ის გენერალური მენეჯერის მოადგილე ჰუან ფენ ციუსა და ჩინეთის საელჩოს წარმომადგენელ ჯიაო ხუაი სინისთან ერთად.

<https://drive.google.com/file/d/1ACp1t1BiPqov8Glzs45juSCblSdLdsMz/view?usp=sharing>

<http://www.georoad.ge/old/?que=eng/tenders/international&info=1561>

<https://old.newposts.ge/?newsid=16449-mshenebloba>

<http://www.georoad.ge/?lang=geo&act=project&func=menu&uid=1392377188>

[https://www.autocar.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=6418:rui-si-agaras-3-kilometriani-monakveti-ramdenime-dgheshi-gaikhsneba&catid=214&Itemid=158&lang=ka-GE](https://www.autocar.ge/index.php?option=com_content&view=article&id=6418:rui-si-agaras-3-kilometriani-monakveti-ramdenime-dgheshi-gaikhsneba&catid=214&Itemid=158&lang=ka-GE)

რუსი-აგარა-აგარას შემოვლითი გზის მონაკვეთის გახსნა



მიუხედავად იმისა, რომ არც საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ და არც საჯაროდ ხელმისაწვდომ წყაროებში პირდაპირ არ ვლინდება რუისი-აგარა-აგარას შემოვლითი გზის მონაკვეთის მშენებლობასთან დაკავშირებული ხარვეზები, დარღვევები, ინციდენტები, ჩვენი ყურადღება მაინც მიიქცია რამდენიმე საექვო დეტალმა:

- 2012 წელს, მშენებლობის დაწყებამდე საქართველოს იმდროინდელმა პრემიერ მინისტრმა აღნიშნა, რომ **“პროექტის ფარგლებში 1500 ადამიანი დასაქმდება”**, თუმცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2014 წლის დეკემბერში გამოქვეყნებულ ანგარიშში მითითებულია, რომ **აღნიშნულ პროექტზე 500-მდე ადამიანი იყო დასაქმებული**.
- 2014 წლის 5 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ გამოსცა **განკარგულება №1380** უცხოური საწარმოს ფილიალის „შპს ჩაინა ნუქლერ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან 3 თვით გათავისუფლების თაობაზე, რომლის მიხედვითაც კომპანიას რუისი-აგარა-აგარის შემოვლითი გზის მოდერნიზაციის პროექტის (კმ95-კმ114) სამშენებლო სამუშაოების შეუფერხებლად განსახორციელებლად მიენიჭა უფლებამოსილება, რომ აგარის ტერიტორიაზე მოეპოვებინა ქვიშა-ხრეში, თუმცა ამავე განკარგულებით, კომპანიას დაევალა, რომ მოპოვების პროცესში დაეცვა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტები. მიუხედავად ლიცენზიისგან გათავისუფლების მცირე პერიოდისა, მალევე გამოვლინდა **მიწის ნაყოფიერი ფენის უკანონო მოხსნის და წიაღის უკანონო მოპოვების ფაქტი**, რომელმაც სახელმწიფოს 1 422 961,0 ლარის ოდენობით ზიანი მიაყენა.
- არც სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ პორტალზე და არც მსოფლიო ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არ იძებნება რუისი-აგარა-აგარას შემოვლითი გზის მონაკვეთის (კმ 95- კმ 114) სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული შესყიდვის დოკუმენტაცია, ტენდერის სხვა მონაწილეთა ვინაობა და რა თქმა უნდა არც მათი შერჩევის კრიტერიუმები. ამგვარ ინფორმაციას არც საავტომობილო გზების დეპარტამენტი გასცემს.
- China Nuclear Industry 23 Construction Co., Ltd საკმაოდ საექვო საერთაშორისო რეპუტაციით სარგებლობს, რაზეც ჩვენი კვლევის შემდგომ თავებში უფრო დეტალურად გიამბობთ. მიუხედავად ამისა, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა და

[https://www.gov.ge/index.php?lang\\_id=&sec\\_id=251&info\\_id=34879](https://www.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=251&info_id=34879)

[https://www.gov.ge/files/288\\_46485\\_488613\\_%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90.pdf](https://www.gov.ge/files/288_46485_488613_%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90.pdf)

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2451098?publication=0>

<https://drive.google.com/file/d/1SvyjKYiMAsUfuj-I54X3IKStg6PPURg9/view?usp=sharing>

საქართველოს მთავრობამ სწორედ ის შეარჩია რუსი-აგარას გზის მონაკვეთის შესაკეთებლად.

### რა დასკვნის გამოტანა შეგვიძლია აქედან:

- საქართველოს მთავრობა მაქსიმალურად ცდილობდა სატელევიზიო და ინტერნეტ პიარ კამპანიებით China Nuclear Industry 23 Construction Co., Ltd წარმოეჩინა როგორც ღირსეული რეპუტაციის მქონე კომპანია, რისთვისაც არ მოერიდა არასწორი ინფორმაციის და ცრუ დაპირებების გაცემას.
- არც მთავრობას და არც საავტომობილო გზების დეპარტამენტს არ უცდია კომპანიის საერთაშორისო რეპუტაციის მოკვლევა, ან სცადა, თუმცა თვალი დახუჭა არაერთ გადაცდომასა და კომპანიის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციაზე;
- სახელმწიფომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლება მიანიჭა კომპანიას, რომელმაც მალევე საფრთხეში ჩააგდო გარემო და უკანონო გზით მოიპოვა წიაღისეული.

## 2. რუსი-აგარა-აგარას შემოვლითი გზის მონაკვეთის (km95-km114) გარე განათების სამუშაოები

სამწუხაროდ, China Nuclear Industry 23 Construction Co., Ltd - ის ქართული ისტორია აქ არ სრულდება. მიუხედავად ადმინისტრაციული გადაცდომისა, გზების დეპარტამენტმა მას კიდევ ერთი პროექტი მიანდო - იმავე რუსი-აგარა-აგარას შემოვლითი გზის მონაკვეთისთვის (km95-km114) გარე განათების სამუშაოების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულება გზების დეპარტამენტთან 2017 წლის 10 თებერვალს გაფორმდა. პროექტი კვლავ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარეობდა და მისი ღირებულება 5,051,586.71 ლარი იყო. სატენდერო დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ

- მსოფლიო ბანკი მსესხებელს ავალდებულებს შესყიდვაში მონაწილე პრეტენდენტები/გამარჯვებული კანდიდატი/მათი ქვეკონტრაქტორები და პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი პირი შესაბამისობაში იყოს მსოფლიო ბანკის სტანდარტებთან, რაც მათი მხრიდან ეთიკის უმაღლესი სტანდარტების დაცვას გულისხმობს. დოკუმენტაციის მიხედვით, კანდიდატის შერჩევისას, მაქსიმალურად უნდა მოხდეს კორუფციისა და თაღლითური პრაქტიკის პრევენცია.
- გარდა ამისა, სატენდერო დოკუმენტაცია მოიცავდა გამარჯვებულ მიმწოდებელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების

<http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=201718&lang=ge>

<https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=app&file=1932496&code=1472474576>

ძირითად პირობებს, რომლებიც ასევე მსოფლიო ბანკის პრინციპებსა და სტანდარტებს ასახავდა.

ჩვენ დავინტერესდით, რა მეთოდითა და პრინციპით მოხდა China Nuclear Industry 23 Construction Co., Ltd-ს შეფასება ზემოხსენებული ტენდერის ფარგლებში და მსოფლიო ბანკის მიერ დაწესებული მაღალი სტანდარტების პირობებში როგორ გაიმარჯვა კომპანიამ, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით არაერთ კორუფციულ გარიგებაშია მხილებული?

სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული პლატფორმის შედეგების ველში ატვირთული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ:

<https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=app&file=2173625&code=1485279724>

- ტენდერში მონაწილეობას ჯამში 9 მონაწილე იღებდა,
- China Nuclear Industry 23 Construction Co., Ltd მხოლოდ მე-5 იყო საუკეთესო ფასის შეთავაზებით;
- სავარაუდოა, რომ China Nuclear Industry 23 Construction Co., Ltd-ს გამარჯვების უზრუნველყოფის მიზნით, თითქმის ყველა პრეტენდენტი იქნა დისკვალიფიცირებული.
- რამდენიმე კომპანიის, რომლებმაც China Nuclear Industry 23 Construction Co., Ltd-ზე უკეთესი შეთავაზება გააკეთეს, დისკვალიფიკაციის მიზეზი იყო არა ტექნიკური მონაცემების შეუსაბამობა დავალებასთან, არამედ ის, რომ ვერ დაფიქსირდა მათი ფასი სისტემაში, ერთობლივი საწარმოს სახელით ხელმოწერილი მინდობილობა არ იყო წარმოდგენილი, ხარჯთაღრიცხვა არ იყო წარმოდგენილი ცალკე დოკუმენტად, რომელიც წარდგენილი დოკუმენტებიდან ისედაც ჩანს და ა.შ.

თუ ჩვენს კვლევებს თვალს ადევნებთ, მოვლენათა ამგავრი განვითარება თქვენთვის კარგად ნაცნობი იქნება, რადგან ჩინურ მიმწოდებლებთან განხორციელებული შესყიდვები ხშირად სწორედ ამ სცენარით მიმდინარეობს. ცხრა (9) პრეტენდენტიდან, რომელთაც ბევრად უკეთესი ფასის და ხარისხის პროდუქციის შეთავაზება გააკეთეს მხოლოდ China Nuclear Industry 23 Construction Co., Ltd აღმოჩნდა კომპანია, რომელმაც ტექნიკურად გამართული და სრულად შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაცია წარადგინა, ისე რომ მისთვის დამაზუსტებელი წერილის გაგზავნაც კი არ გახდა საჭირო. არ დაგვავიწყდეს, რომ ეს ის კომპანიაა, რომელმაც სწორედ უბისა-აგარას გზის მონაკვეთზე უკანონოდ მოიპოვა წიაღისეული და ბოროტად გამოიყენა საქართველოს მთავრობის მიერ მინიჭებული უფლებამოსილება.

ჩვენს მიერ მოპოვებული და ზემოთჩამოთვლილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე, ნათელია რომ ტენდერებში China Nuclear Industry 23 Construction Co., Ltd პრივილეგიებით სარგებლობს.

### 3. კერძო ინვესტიციები

<https://ghn.ge/news/161904>

2016 წლის ოქტომბერში ინტერნეტ სივრცეში გავრცელდა ინფორმაცია, რომ China Nuclear Industry 23 Construction Co., Ltd საპარტნიორო ფონდს შეხვდა და “საქართველოს განახლებადი ენერჯის პროექტებში ინვესტირების შესახებ ინტერესი გამოხატა. ჩინურმა მხარემ კონკრეტული საინვესტიციო წინადადებები წარმოადგინა და ფონდის გამოცდილების გათვალისწინებით ერთობლივი პროექტების განხორციელების სურვილი გამოთქვა.”

<https://fortuna.ge/fortuna/post/chineli-investorebi-saqartveloshi-mzisa-da-garis-eleqtrosadgurebis-msheneblobas-gegmvaven>

ზოგიერთი წყაროს ცნობით, “ჩინური კომპანია საქართველოში მზისა და ქარის ელექტროსადგურების მშენებლობითა და განახლებადი ენერჯის წარმოებით არის დაინტერესებული.”



სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია რა გაგრძელება მოჰყვა ამ ინიციატივას და მართლა განხორციელდა თუ არა კერძო ინვესტიციები საქართველოს განახლებადი ენერჯის პროექტებში. ამის შესახებ ინფორმაცია არ იძებნება არც საჯარო წყაროებში და არც საპარტნიორო ფონდის ვებ-გვერდზე. მხოლოდ სექტორი 3-ის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში ვხვდებით ინფორმაციას, რომ “China Nuclear Industry 23 Construction Co., LTD- მა მონაწილეობა მიიღო საქართველოში პირველი ქარის ელექტროსადგურის პროექტის განვითარებაში, რომელიც 2016 წლის დეკემბერში წარმატებით შევიდა ექსპლუატაციაში და მისი დადგენილი სიმძლავრე შეადგენს 20.7 მგვტ-ს.”

<https://sector3.ge/Libraries/Download/365>

საინტერესო გარემოებაა ისიც, რომ ვებ-გვერდმა eugeorgia.info-მ ჯერ კიდევ 2015 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა 2015 წლის მეორე კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მიხედვით ტოპ 50 კომპანიის სია, რომელთა შორის იყო შპს ჩაინა ნუკლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში. ის გარემოება განსაკუთრებით საინტერესოა იმის ფონზე, რომ კერძო ინვესტიციების ინიციატივით China Nuclear Industry 23 Construction Co., LTD- საპარტნიორო ფონდს მხოლოდ 2016 წლის სექტემბერში შეხვდა და არცერთი სიტყვა 2015 წელს განხორციელებულ კერძო ინვესტიციებზე საჯაროდ არ უთქვამთ.

<http://eugeorgia.info/ka/article/278/2015-wlis-meore-kvartlis-lideri-investori-kompaniebi/>

საინტერესოა, რატომ არ ახსენა საპარტნიორო ფონდმა China Nuclear Industry 23 Construction Co., LTD- ის კერძო ინვესტიციები და თუ ეს ამბავი სიმართლეს შეესაბამება, რატომ არ იძებნება ამის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ?

#### 4. გუდაურში წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა

2011 წლის მაისში საქართველომ აზიის განვითარების ბანკისგან მიიღო სესხი 250,000, 000 აშშ დოლარის ოდენობით საქართველოში ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამის (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) განხორციელების მიზნით. აღნიშნული პროექტი ასევე ითვალისწინებდა გუდაურის წყლისა და წყალარინების სისტემებისა და გუდაურის წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობას.

[https://www.mof.ge/images/File/donorebis\\_finansuri/2019/WEB\\_2019\\_July\\_GEO.pdf](https://www.mof.ge/images/File/donorebis_finansuri/2019/WEB_2019_July_GEO.pdf)

2017 წლის დეკემბერში აზიის განვითარების ბანკმა გამოაქვეყნა გუდაურის წყლისა და წყალარინების სისტემების მშენებლობის პროექტის გეგმა, რომელიც ასევე მოიცავდა შესყიდვების განხორციელების წესს. დოკუმენტის მიხედვით:

- “საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია” (UWSCG) არის პროექტის განმახორციელებელი სააგენტო, რომელიც თავის მხრივ ტენდერის საფუძველზე არჩევს სამშენებლო და საკონსულტაციო კომპანიებს. სწორედ UWSCG იღებს სრულ პასუხისმგებლობას პროექტის ეფექტურად განხორციელებაზე.”
- სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმება და რევიზია სწორედ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის” პასუხისმგებლობას წარმოადგენს;
- ADB-ის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, რომ პროექტის განმახორციელებელი სათანადო კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაცია ტენდერის მეშვეობით გამოვლენილიყო.

სამწუხაროდ, საჯაროდ ხელმისაწვდომ წყაროებში არ იძებნება აღნიშნულ ტენდერთან დაკავშირებული არანაირი ინფორმაცია, მათ შორის არც მოწვევა ტენდერზე და მისი პირობები. შესაძლებელია მხოლოდ შევძელით საქართველოს მთავრობის განკარგულებების მოძიება (2018 წლის 28 დეკემბრის N2514 განკარგულება და 2019 წლის 31 მაისის N1267 განკარგულება), რომლითაც მთავრობა იწონებდა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასა და China Nuclear Industry 23 Construction Co., LTD- ის შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებს, შესაბამისად, გუდაურის წყლისა და წყალარინების სისტემებისა და გუდაურის წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებით.

[https://www.gov.ge/files/495\\_69669\\_8121\\_92\\_2514.pdf](https://www.gov.ge/files/495_69669_8121_92_2514.pdf)

[https://www.gov.ge/files/524\\_72127\\_9934\\_26\\_1267.pdf](https://www.gov.ge/files/524_72127_9934_26_1267.pdf)





მედიაში გავრცელებული ინფორმაციის შესაბამისად:

- გუდაურის წყლისა და წყალარინების სისტემებისა და გუდაურის წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობის პროექტი ითვალისწინებს წყალარინების ხუთი გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასა და შემდგომ მის ექსპლუატაციაში გაშვებას.
- პროექტის საბოლოო მიზანი გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირება და ადგილობრივების/დამსვენებლების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაა.
- პროექტს აზიის განვითარების ბანკი 22 000 000 ლარით აფინანსებს.
- სამშენებლო სამუშაოების დასრულება 2021 წლის დასაწყისში არის დაგეგმილი.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტი 2021 წლის დასაწყისში უნდა დასრულებულიყო, 2021 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია საკურორტო ზონებში წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის მოწყობას აქტიურად განაგრძობს. დასრულდა თუ არა პროექტი და შესრულდა თუ არა დასახული მიზნები, სამწუხაროდ საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებით არ დგინდება.

სწორედ ამიტომ, ჩვენ მივმართეთ “საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას” და ვთხოვეთ საჯარო ინფორმაციის ფარგლებში, ჩვენთვის მოეწოდებინა:

სრული ინფორმაცია და დოკუმენტაცია გუდაურის წყლისა და წყალარინების სისტემებისა და გუდაურის წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებით გამართულ ტენდერებზე. მათ შორის და არამხოლოდ:

- ინფორმაცია მონაწილე პრეტენდენტებზე, მათი შერჩევის და დისკვალიფიკაციის კრიტერიუმებსა და მიზეზებზე;
- გამარჯვებულ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულებები, მისი დანართები, ცვლილებები და მიღება-ჩაბარების აქტები;
- ინფორმაცია იმის შესახებ დასრულდა თუ არა მშენებლობა;
- გამოვლინდა თუ არა ხარვეზები, ვადაგადაცილებები მშენებლობის პერიოდში;

<https://1tv.ge/news/gudaursi-wyalarinebis-gamwmendi-nagebobebis-mshenebloba-iwyeba/>

<https://ibusiness.ge/%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/>

- ხომ არ დაეკისრა China Nuclear Industry 23 Construction Co., LTD-ს რაიმე სახის ადმინისტრაციული სახდელი პროექტის ფარგლებში განხორციელებული ქმედებების გამო;
- დაცული იყო თუ არა შრომის უსაფრთხოების წესები მშენებლობაზე და ხომ არ დაფიქსირებულა ინციდენტები ამ საკითხთან დაკავშირებით;

სამწუხაროდ, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ არ დაგვიბრუნა პასუხი ჩვენს კითხვებზე, რითაც უგულებელვყო საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება და კიდევ უფრო გაზარდა ეჭვები პროექტის ფარგლებში დარღვევების არსებობასთან დაკავშირებით.

# ბიბლიოგრაფია

CNI23 Official Website: <http://www.cni23.com/3075.html>

China Nuclear Industry 23 Construction Co., Ltd., Company Profile: <https://www.cccme.cn/shop/ccme12492/introduction.aspx>

ავსტრალიურმა ორგანიზაციამ ASPI-მ ცინხუას უნივერსიტეტი მაღალი უსაფრთხოების რისკების შემცველ აკადემიურ დაწესებულებად გამოაცხადა მისი იმ კვლევებსა და ინიციატივებში ჩართულობის გამო, რომლებიც ჩინეთის კომუნისტური პარტიის ინტერესებს ემსახურება და მოიცავს შემდეგ სფეროებს: ხელოვნური ინტელექტი, სარაკეტო შეიარაღება, სანავიგაციო ტექნოლოგია, ინსტრუმენტული მეცნიერება და ბირთვული იარაღის პროგრამები. უფრო მეტიც, მოცემული ჩინური უნივერსიტეტი არის სკანდალური ჩინური კომპანია Nuctech-ის დამფუძნებელი. ეს კომპანია ცნობილია კორუფციული და თაღლითური საქმიანობით მთელ მსოფლიოში და შეტანილია სხვადასხვა დასავლური დემოკრატიული ინსტიტუციების შავ სიაში.

ცინხუას უნივერსიტეტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, იხილოთ სამოქალაქო იდეას განახლებული ანგარიში: <https://civicidea.ge/en/chinese-leverage-in-georgias-academic-cso-and-media-sectors-post-covid-reality/>.

ასევე, ASPI-ს ვებსაიტი სახელწოდებით "Unitracker": <https://unitracker.aspi.org.au/universities/tsinghua-university/>

China's former nuclear chief gets life sentence; 2010; Source: <https://edition.cnn.com/2010/WORLD/asiapcf/11/19/china.nuclear.chief/index.html>

Communist Party absolves itself, appoints Xi Jinping; 2010; Source: <https://www.asianews.it/news-en/Communist-Party-absolves-itself,-appoints-Xi-Jinping-19763.html>

Former China nuclear head jailed for life over bribes; 2010; Source: <https://www.bbc.com/news/world-asia-pacific-11794199>

US blacklists Chinese nuclear company over theft of military tech; Source: <https://www.ft.com/content/9601ebda-bf24-11e9-b350-db00d509634e>

Four China Nuclear Industry Companies Added to "Entity List"; 2019; Source: <https://www.pillsburylaw.com/en/news-and-insights/china-industry-entity-list.html>

Beijing says US blacklisting China's largest nuclear power firm is 'just an excuse'; 2019; Source: <https://www.cnbc.com/2019/08/16/us-prohibits-firms-from-selling-to-china-nuclear-power-company-cgn.html>

French Companies Admit Problems at Nuclear Plant in China; 2021; Source: <https://www.nytimes.com/2021/06/14/business/china-nuclear-power-problem.html>

China's nuclear power firm could be blocked from UK projects; 2021; Source: <https://www.theguardian.com/environment/2021/jul/26/chinas-nuclear-power-firm-could-be-blocked-from-uk-projects>

£20B British Snub To Beijing As 'Blacklisted' Chinese Nuclear Power Company Set To Lose Key UK Project; 2022; Source: <https://eurasiatimes.com/china-after-its-nuclear-power-company-gets-blacklisted-uk-usa/>

Huawei: UK bans new 5G network equipment from September; 2020; Source: <https://www.theguardian.com/technology/2020/nov/30/huawei-uk-bans-new-5g-network-equipment-from-september>  
<https://drive.google.com/file/d/1ACp1t1BiPqov8Glzs45juSCbISdLdsMz/view?usp=sharing>

CONSTRUCTION WORKS FOR UPGRADING OF RUISI- AGARA-AGARA BYPASS SECTION OF E-60 HIGHWAY (km95-km114); Source: <http://www.georoad.ge/old/?que=eng/tenders/international&info=1561>

რუისი-აგარის მონაკვეთის ავტომაგისტრალის მშენებლობა 2014 წლის ბოლოს დასრულდება/The construction of the Ruis-Agara section highway will be completed by the end of 2014; Source: <https://old.newposts.ge/?newsid=16449-mshenebloba>

Ruis-Agara section highway: <http://www.georoad.ge/?lang=geo&act=project&func=menu&uid=1392377188>

რუისი-აგარას 3-კილომეტრიანი მონაკვეთი რამდენიმე დღეში გაიხსნება/The 3-kilometer section of Ruis-Agara will be opened in a few days; Source: [https://www.autocar.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=6418:ruisi-agaras-3-kilometriani-monakvethi-ramdenime-dgheshi-gaikhsneba&catid=214&Itemid=158&lang=ka-GE](https://www.autocar.ge/index.php?option=com_content&view=article&id=6418:ruisi-agaras-3-kilometriani-monakvethi-ramdenime-dgheshi-gaikhsneba&catid=214&Itemid=158&lang=ka-GE)

[https://www.gov.ge/index.php?lang\\_id=-&sec\\_id=251&info\\_id=34879](https://www.gov.ge/index.php?lang_id=-&sec_id=251&info_id=34879)

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო დეკემბერი, 2014; „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობის ფარგლებში“/Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia December, 2014; "Georgian government within the framework of open governance"; Source: [https://www.gov.ge/files/288\\_46485\\_488613\\_%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90.pdf](https://www.gov.ge/files/288_46485_488613_%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90.pdf)

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან/Extract from the register of entrepreneurs and non-entrepreneurial (non-commercial) legal entities; Source: [https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFhm6BAOD26edqqmlgm1JEUeU3iKdbJigsg6G\[zV1YvEN](https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFhm6BAOD26edqqmlgm1JEUeU3iKdbJigsg6G[zV1YvEN)

უცხოური საწარმოს ფილიალის „შპს ჩაინა ნუკლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე/Regarding the exemption from the mineral extraction license of the branch of the foreign enterprise "China Nuclear Industry Ltd. 23 Construction Co. branch in Georgia"; Source: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2451098?publication=0>

<https://drive.google.com/file/d/1SvyjKYiMAsUfuj-l54X3IKStg6PPURg9/view?usp=sharing>

<http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=201718&lang=ge>

Bidding Document for Procurement of Small Works National Competitive Bidding: <https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=app&file=1932496&code=1472474576>

CHINA NUCLEAR INDUSTRY 23 CONSTRUCTION-ი საქართველოს ენერგეტიკული სექტორით ინტერესდება/CHINA NUCLEAR INDUSTRY 23 CONSTRUCTION is interested in the energy sector of Georgia; Source: <https://ghn.ge/news/161904>

სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული დონორების მხარდაჭერით დაფინანსებული პროგრამები და პროექტები/Donor-supported programs and projects reflected in the state budget: [https://www.mof.ge/images/File/donorebis\\_finansuri/2019/WEB\\_2019\\_July\\_GEO.pdf](https://www.mof.ge/images/File/donorebis_finansuri/2019/WEB_2019_July_GEO.pdf)

გუდაურში წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა იწყება/The construction of wastewater treatment facilities in Gudauri begins; Source: <https://1tv.ge/news/gudaursi-wyalarinebis-gamwmendi-nagebobebis-mshenebloba-iwyeba/>

გუდაურის წყალმომარაგება: წყალარინების სისტემებისა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა აქტიურად გრძელდება/Gudauri water supply: the construction of sewage systems and sewage treatment plant continues actively; Source: <https://ibusiness.ge/%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/>



## სამოქალაქო იდეას შესახებ

„სამოქალაქო ინიციატივა დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევნისთვის – სამოქალაქო იდეა“ საქართველოში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც გლობალურ საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის მანდატი ემსახურება დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევანის რეალობად ქცევას, ყოველ მოქალაქემდე მიტანას და ინსტიტუციონალიზაციას.

დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევანი, ეს არის თავისუფალი, სამართლიანი, თანასწორობაზე დაფუძნებული სახელმწიფო, სადაც კანონის უზენაესობით შეიარაღებული მოქალაქეები უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობენ თავს.

„სამოქალაქო იდეა“ აქტიურად აკვირდება ჩინეთის მზარდ გავლენებს საქართველოში.

სამოქალაქო იდეა, ბოლო სამი წელია იკვლევს დააკვირდება ჩინეთის საქმიანობას საქართველოში, თუმცა კვლევა ასევე ეფუძნება სხვა ქვეყნებში მსგავსი პრაქტიკის შედარებითი ანალიზს. დღეს ჩინეთის საქმიანობა საქართველოში პირდაპირი, ხილული და მყისიერი საფრთხის შემცველი არ არის, თუმცა რესპექტაბელური და ავტორიტეტული ორგანიზაციების, ჩვენი პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოების სამსახურების, ევროკავშირის მრავლობითი ორგანიზაციების კვლევების, რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების იგნორირება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კიდევ ერთი ნათელი მაგალითია მყარი საგარეო ორიენტირების მოშლისა და ქვეყნის განვითარების და გრძელვადიანი წარმატების შესახებ ბუნდოვანი ხედვის თაობაზე.

## ჩვენს შესახებ

ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, განცხადებები და კომენტარები, ეკუთვნის მხოლოდ მათ და არ ასახავს ფონდების პოზიციას.

შესაბამისად, არც ერთი დამხმარე ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი ინფორმაციული მასალის შინაარსზე.

ანგარიშზე  
პასუხისმგებლები არიან  
**მარიამ უსენაშვილი,**  
**ანი კინწურაშვილი**

<https://civicidea.ge/en/about-us/>

